სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

30 04 2020 წ. №79 ქ. თბილისი

მხატვრული ფილმების პროექტებზე ალტერნატიული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების" მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.გაეზარდოთ ალტერნატიული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა 2020 წლის 1 სექტემბრამდე შემდეგი პროექტების პროდიუსერებს:

ა) მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „შუშის კუნთი", პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი".

ბ) სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ორმო", პროდიუსერი-შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს".

გ) სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ცივი ღრუბლები", პროდიუსერი- შპს „20 Steps Productions".

დ)მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ამბავი დუმბაძეებისა", პროდიუსერი – სს „ქართული ფილმი".

ე) სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „რეალური არსებები", პროდიუსერი- შპს „1 დროფ ფილმი".

2.დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

2. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სს „ქართული ფილმი"-ს დირექტორთა საბჭოს წევრის გიორგი ხარებავას 27.03.2020 წლის №ა2-122 განცხადება; შპს „20 Steps Productions" დირექტორის 13.04.2020 წლის №ა2-133 განცხადება; შპს „ნუში ფილმი" დირექტორის 16.04.2020 წლის №ა2-144 განცხადება; შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს" დირექტორის 21.04.2020 წლის №ა2-148 განცხადება; შპს „1 დროფ ფილმი" დირექტორის 23.04.2020 წლის ა2-154 განცხადება.

დირექტორი გაგა ჩხეიძე